31/12/2018

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება

ჩვენთან არს ღმერთი

გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. მეუფე დანიელს ვულოცავთ წმინდა დანიელ წინასწარმეტყველის დღეს.

დღეს ვაჯილდოებთ შემდეგ სამღვდელოებას:

დეკანოზი ირაკლი ახალაძე, რომელიც ბრძანდება გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, ჯილდოვდება მიტრის ტარების უფლებით. აქსიოს!

დეკანოზი გაბრიელი ლომაძე, დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით. აქსიოს!

მღვდელი ირაკლი წულაძე, აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით. აქსიოს!

იღუმენია სარა ნათებაშვილი დაჯილდოებულია მეორე ჯვრის ტარების უფლებით.

აქსიოს!

მოგეხსენებათ, ზეგ არის ახალი წელი. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, 31 დეკემბერს, 1 და 2 იანვარს ვისაც აქვს სურვილი, შეუძლია გაიხსნილოს თევზით.

შეგახსენებთ, რომ შემდეგ ორშაბათს არის დიდი საუფლო დღესასწაული, შობა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ დღესთან დაკავშირებით,კვირა საღამოს 23:00 საათზე იქნება დახვედრა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, წაკითხულ იქნება საშობაო ეპისტოლე და შემდეგ შესრულდება საზეიმო ლიტურგია. მანამდე კი, კვირა საღამოსვე 20:00 საათზე შესრულდება წმინდა სერობისა და წმინდა ცისკრის ჟამნი.

ღმერთმა მრავალს დაგასწროთ.

ჩვენთან არს ღმერთი.